

გურჯისტანის ვილაიეთის ქართული ტოპონიმია

ანი შეროზია

ელ-ფოსტა: ani.sherozia7@gmail.com

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტი.

ტოპონიმების მხრივ ისტორიული საქართველო დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, თუმცა ტიპონიმების უმრავლესობა დღემდე მხოლოდ ლიტერატურულმა თხზულებებმა შემოგვინახა. ტოპონიმების უმეტესობა დროის სხვადასხვა პერიოდშია წარმოქმნილი.

XX საუკუნეში ჩატარებული უამრავი საინტერესო ტოპონიმიკური კვლევა საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ამ კვლევების საფუძველზე ძირფესვიანად იქნა შესწავლილი ესა თუ ის კუთხე. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ნაშრომი მიძღვნილი, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ვერ მოხდა ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლა. ეს ნაშრომი მხოლოდ ერთ კონკრეტულ ასპექტს ეხება ისტორიული ტიპონიმიკისა .

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ისტორიული საქართველოს ტოპონიმის შესწავლისა არის ა. ასლანიკაშვილის „ გურჯისტანის ვილაიეთის რუკა“, ეს კვლევა უმთავრესად ამ წყაროს ეფუძვნება და ამ რუკაზე არსებული ტოპონიმების ტერიტორიული განაწილების ანალიზის ცდაა.

ეს რუკა შედგენილია „ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ჩვენ სწორედ ამ დავთარში შემავალი ქართული ტოპონიმებით დავინტერესდით, თუ როგორაა ისინი ზოგადად დავთარში აღწერილი. კვლევა შემდეგ ეტაპებად განხორციელდა:

1) შევადგინეთ საერთო ნუსხა ტოპონიმების , მათი ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ ტოპონიმების გეოგრაფიული მიკუთვნებულობა , წარმომავლობა , შედარება თანამედროვე სახელებთან.

2) შესწავლილი ტოპონიმებიდან გამოვავლინეთ ქართული ტოპონიმები და დავადგინეთ მათი ანალოგები თანამედროვე საზღვრებში.

3) ასევე დავადგინეთ ქართული ტოპონიმების ტერიტორიის სივრცითი განაწილების ზოგიერთი თავისებურება გურჯისტანის ვილაიეთში.

აქედან გამომდინარე , სწორედ ამ მიზნით გეოინფორმაციული სისტემების დახმარებით შეიქმნა ვილაიეთის რუკის ელ- ვერსია. თავისი მონაცემთა ბაზით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ცნობებს(მაგ. გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა, ადმინისტრაციული მიკუთვნებულობა და ა. შ)

საბოლოო ჯამში ამ კვლევის მიზანი იყო ტოპონიმების საერთო რაოდენობაში მთავარი- ქართული სუბსტრატის წარმოჩენა. კვლევამ გვიჩვენა მნიშვნელოვანი რამ, ტოპონიმების დიდი ნაწილი ქართულია, ამას მრავალი ფაქტი ადასტურებს . კონკრეტულად: არსებობს ტოპონიმები, რომელთა ქართულ წარმომავლობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მაგ: მგელციხე, ვარციხე, ოქროციხე. ბევრია ასევე ხევთან დაკავშირებული სახელები 20- დან 8 საქ- ს თანამედროვე ტერიტორიაზე გვხვდება : საკველახევი, წისქვილხევი.

საბოლოო ჯამში „ გურჯისტანის დავთრისა“ და რუკის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ტოპონიმების უმეტესობას ქართული წარმომავლობა აქვს, გამოვლინდა ტოპონიმების საერთო რაოდენობაში ქართული სუბსტრატი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლანიკაშვილი ალ. გურჯისტანის ვილაიეთის რუკა. თბ., 1953. რედ. ს. ჯიქია. მასშტაბი 1:300,000.
2. ნიკოლაიშვილი დ., უჯმაჯურიძე ა. ქართული ტოპონიმები „გურჯისტანის ვილაიეთის რუკის“ მიხედვით. ქართული ონომასტიკა, VIII თბ.: უნივერსალი, 2017. გვ. 177-198 (Georgian toponyms in “Gurjisatni Governorate Map”).

3. ნიკოლაიშვილი დ., უჯმაჯურიძე ა., ყელბერაშვილი მ., გესლაიძე ნ. „გურჯისტანის ვილაიეთის რუკის“ შესახებ //კონფერენციის მასალები. საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის გეოგრაფიული საზოგადოება. თბ., 2018. გვ. 28-43. (About “The Map of Gurjistani Governorate”).
4. ნიკოლაიშვილი დ., კირთაძე დ. ტოპონიმები და გეოგრაფიული გარემო გიორგი მერჩულის “წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით”. ჟ: “კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი”, № 2, 2003. გვ. 86-95.
5. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ისტორიული რუკა. თბ., 1923.
6. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს რესპუბლიკის რუკა. თბ., 1922.
7. ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წგნ. 1. 1947; წგნ. 2. 1941; წგნ. 1958.
8. ჯიქია ს. სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. XI თბ., 1950. გვ. 185-201.